საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№46/15 „02“ აპრილი 2015 წ.

შ.პ.ს. „ოაზისი-9“-ს დირექტორს ბატონ
ზ. იაკობიძეს.

ტექნიკური დასკვნა ქ. თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩა №33-ში შ.პ.ს. „ოაზისი“-ს მიერ წარმოებული მშენებლობის გავლენის შესახებ, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებისათვის.

ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, თაბუკაშვილის ქუჩა №33-ში, შ.პ.ს. „ოაზისი-9“ აწარმოებს არსებული შვიდ სართულიანი შენობის გაძლიერებით სამუშაოებს. საკვლევი შენობა აგებულია გასული საუკუნის 90-ნი წლების ბოლოს. იგი კონსტრუქციულად მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვანია. ჩარჩოს სვეტების განივი კვეთებია b×h=40×40სმ. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია ხისტკვანძებიანი მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილები სისქით δ=16სმ. წიბოების განივი კვეთებია b×h=40×50სმ. საძირკვლები ხიმინჯოვანია დიამეტრით 100სმ. შენობას 2007 წელს შ.პ.ს. „სეისმომედეგი პროექტირებისა, მშენებლობისა და ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმებით ნაგებობათა უსაფრთხოების შეფასების ცენტრი“-ს მიერ ჩაუტარდა გამოკვლევა. გამოკვლევით დადგინდა, რომ დარღვეულია სართულშუა გადახურვების წიბოების არმირება. წიბოებში არსებობს გამჭოლი ბზარები. მათი ბეტონის მარკა შეადგენს 180-200კგ/სმ^2-ს; სვეტების ბეტონის მარკა 140-150კგ/სმ^2-ია; სართულშუა გადახურვის ფილებისა 150კგ/სმ^2, ნაცვლად 300კგ/სმ^2-ისა. ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ დეფორმაციების მიზეზი იყო საძირკვლების არაათანაბარი ჯდენები.

შ.პ.ს. „ოაზისი-9“-ს გადაწყვეტილებით გადაწყდა შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტის დამუშავება და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება.

პროექტის მიხედვით, საძირკვლის გაძლიერება განხორციელდა ფილა-კოჭოვანი როსტვერკით და 13სმ. დიამეტრის ნაბურღ-ინექციერებული ხიმინჯებით. კოჭების განივი კვეთია b×h=40×53სმ; ფილის სისქე δ=35სმ. სვეტები გაძლიერდა ფოლადის კუთხოვანების გამოყენებით პირველი სართულისათვის კვეთით 160×12 და 140×10მმ; ხოლო დანარჩენი სართულებისათვის 90×8 და 75×6მმ. ფოლადის კუთხოვანებია

გამოყენებული ასევე სართულშუა გადახურვის წიბოების გასაძლიერებლად კერძოდ: ქვედა (მალის შუა) გაჭიმული ზონებისათვის გამოყენებული კუთხოვანების განივი კვეთებია 100×8 და 90×8მმ. ხოლო ზედა (საყრდენთან) გაჭიმული ზონებისათვის გამოყენებული კუთხოვანების განივი კვეთებია 90×56×8მმ. გადახურვის ფილები გაძლიერდა 6სმ. სისქის არმირებული ბეტონის ფენით.

შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ შემდეგს:

პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები (როგორც ბეტონის ჩაწყობის, ასევე შესადუღებელი) ხორციელდება შენობის შიდა სივრცეში. არ ხდება ქვაბულის ამოღება და მომიჯნავე შენობების საძირკვლების გაშიშვლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტით გათვალისწინებული გამაგრება-გაძლიერების სამშენებლო სამუშაოები არანაირ უარყოფით ზეგავლენას არ გამოიწვევს მეზობელი შენობა ნაგებობებისათვის.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/